



ადამიანთა ფიზიკური უსაფრთხოება უმაღლეს საგანმანათლებლო
დაწესებულებებში

ლია გუმბერიძე

სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისმეცნიერებათადა
ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების
ადმინისტრირებისმაგისტრისაკადემიურიხარისხისმინიჭებისმოთხოვნებისშესაბამისად
განათლების ადმინისტრირება

სამეცნიეროხელმძღვანელი: მაია ბიჭაძე, განათლების დოქტორი

ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტი

თბილისი, 2015

ნაშრომი ებღვნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრაგიკულად
დაღუპულ მეგობარს, მაკა წივწივაძეს.

სარჩევი

აბსტრაქტი	1
შესავალი	2
კვლევის მეთოდები	13
შედეგები	15
შედეგების განხილვა	24
დანართი	29
გამოყენებული ლიტერატურა	38

აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს რამდენად უსაფრთხოა გარემო სწავლა/სწავლება/მუშაობისთვის თბილისის ორი უნივერსიტეტის მაგალითზე. მსოფლიოში არსებული რელევანტური ლიტერატურის დიდი რაოდენობა მიუთითებს თემის აქტუალობაზე. ამ საკითხის კვლევას აქტუალობას კიდევ უფრო მატებს ის ფაქტი, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში მსგავს საკითხებზე კვლევა არ ჩატარებულა. საკვლევ ობიექტად აღებული იქნა თბილისის ერთი კერძო და ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტი. ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი ტიპის კვლევას, ხოლო ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა ჩალრმავებული ინტერვიუები უნივერსიტეტების უსაფრთხოების სამსახურის უფროსებთან და ფოკუს ჯგუფები, რომლებიც წარმოდგენილი იყო როგორც სამივე საფეხურის სტუდენტებით, ისე აკადემიური პერსონალითა და სხვა თანამშრომლებით. ფოკუს ჯგუფებისთვის შემუშავებული იქნა კითხვარი, თუმცა მსვლელობისას კიდევ არაერთი კითხვა წამოიჭრა. კვლევაში წარმოდგენილი ორივე ჰიპოთეზა დამტკიცდა. შედეგებმა აჩვენა, რომ სასწავლო-სამუშაო გარემო საკვლევ უნივერსიტეტებში მეტ-ნაკლებად უსაფრთხოა, თუმცა საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას. ამიტომ, სასურველი იქნება უფრო ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება რაოდენობრივი მეთოდის ჩართვით და ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ძირითადი თემატური სამიეზო სიტყვები: უსაფრთხოება, ძალადობა, უნივერსიტეტი, უმაღლესი განათლება.